

შპს კიკვიძე 1

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. გადახდილი ავანსები	12
6. მარაგები	12
7. გამოუმუშავებელი შემოსავალი	13
8. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	13
9. მომსახურების მომწოდებლების დანახარჯები.....	14
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	15
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საბალანსო ანგარიშგება	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	49,571	2,805,547	4,342,659
სავაჭრო მოთხოვნები		20,427	79,527	-
გადახდილი ავანსები	5	59,172	2,158,395	3,888,003
მარაგები	6	1,449,048	1,557,546	4,147,282
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,578,218	6,601,015	12,377,944
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		5,239	2,338	3,231
არამატერიალური აქტივები		1,503	1,763	2,022
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,742	4,101	5,253
სულ აქტივები		1,584,960	6,605,116	12,383,197
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		15,656	60,597	3,522,524
გამოუმუშავებელი შემოსავალი	7	179,016	1,526,791	6,032,058
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		12,352	208,448	399,191
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		207,024	1,795,836	9,953,773
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	1,088,955
გაუნაწილებელი მოგება		1,377,936	4,809,280	1,340,469
სულ საკუთარი კაპიტალი		1,377,936	4,809,280	2,429,424
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,584,960	6,605,116	12,383,197

დირექტორი



გიორგი დალაქიშვილი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	31-12-21	31-12-20
შემოსავალი მომსახურებიდან	8	3,342,183	20,774,173
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯები	9	(3,536,661)	(10,441,769)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(150,921)	(87,341)
ხელფასები და სხვა სარგებელი	11	(103,740)	(127,708)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(1,526)	(1,413)
სხვა შემოსავლები		3,792	6,701
სხვა ხარჯები		(63,897)	-
(ზარალი)/მოგება პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		(510,770)	10,122,643
საპროცენტო შემოსავალი		23,841	110,295
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(13,621)	(42,847)
(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე		(500,550)	10,190,091
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		(500,550)	10,190,091

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	31-12-21	31-12-20	31-12-19
ნაშთი წლის დასაწყისში	4,809,280	2,429,424	1,088,955
წმინდა მოგება	(500,550)	10,190,091	1,340,469
გაცემული დივიდენდი	(2,930,794)	(6,721,280)	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	(1,088,955)	-
ნაშთი წლის ბოლოს	1,377,936	4,809,280	2,429,424

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კიკვიძე 1 დაფუძნდა 2017 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თ.ერისთავის ქ., № 8 მისამართზე. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400199370. კომპანიის მფლობელია შემდეგი იურიდიული პირი:

შპს კ1 (ს/კ400199245) – 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი გიორგი დალაქიშვილი (პ/ნ 31001040497).

შპს კიკვიძე1 ასევე ფლობს შპს კიკვიძე სერვისის 400232146 100% წილს 2018 წლიდან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტმა გააკეთა პროგნოზი და სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. შედეგად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2021 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ის ფინანსური უწყისები რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი.

გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

აქტივები	31-12-20	31-12-19
ფული და ფულის ექვივალენტები	2,805,547	4,342,659
სავაჭრო მოთხოვნები	82,761	5,590
გადახდილი ავანსები	1,931,358	3,501,422
მარაგები	1,557,546	4,147,282
სულ მოკლევადიანი აქტივები	6,377,212	11,996,953
არამატერიალური აქტივები	1,763	2,022
ძირითადი საშუალებები	2,338	3,231
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,101	5,253
სულ აქტივები	6,381,313	12,002,206
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	57,607	3,522,634
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1,403,724	6,039,492
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	209,234	13,347
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,670,565	9,575,473
სულ ვალდებულებები	1,670,565	9,575,473
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	1,088,955
გაუნაწილებელი მოგება	4,710,748	1,337,778
სულ საკუთარი კაპიტალი	4,710,748	2,426,733
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	6,381,313	12,002,206

შპს კიკვიძე 1

7

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(გადაანგარიშებამდე):

	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,671,722	3,378,806
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(10,432,271)	(2,306,148)
საერთო მოგება	10,239,451	1,072,658
ხელფასები და სხვა სარგებელი	(127,707)	(78,875)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(1,413)	(1,158)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(42,895)	(291,495)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(86,872)	(35,485)
საოპერაციო მოგება	9,980,564	665,645
საპროცენტო შემოსავალი	110,616	11,253
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	3,070	(53)
მოგება დაბეგვრამდე	10,094,250	676,845
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება	10,094,250	676,845

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ჯგუფში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა,

ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიის მარაგებს წარმოადგენს გასაყიდი კორპუსები და შესაბამისი მიწა.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს სარეალიზაციო მიწასა და მასზედ მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია უშუალოდ კორპუსის რეალიზაციისთვის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. აღნიშნულ დანახარჯებში შედის კონტრაქტორი მშენებელი კომპანიისთვის გადახდილი თანხები. მარაგების თვითღირებულებაში არ ჩაითვლება ადმინისტრაციული და გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები.

მარაგების აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს ბინების რეალიზაციისას, კლიენტისთვის გადაფორმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. წინასწარი გაყიდვების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება ვალდებულებად, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი (მიღებული ავანსები) მანამ სანამ არ მოხდება კლიენტისთვის ბინის გადაფორმება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფული საბანკო ანგარიშებზე, ქართული ლარი	39,233	2,566,351
ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოური ვალუტა	10,338	239,196
სულ	49,571	2,805,547

5. გადახდილი ავანსები

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების საბალანსო ნაშთები ასე გამოიყურება:

გადახდილი ავანსები	31-12-21	31-12-20
კონტრაქტორ სამშენებლო კომპანიაზე გადახდილი ავანსები	-	1,796,610
სხვა ავანსები	59,172	361,785
სულ	59,172	2,158,395

6. მარაგები

მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიის მარაგებს წარმოადგენს კორპუსი და შესაბამისი მიწა.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ასე გამოიყურება:

მარაგები	31-12-21	31-12-20
მიწა	327,303	1,026,796
მშენებლობა	1,121,745	530,750
სულ	1,449,048	1,557,546

7. გამოუმუშავებელი შემოსავალი

კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს გამოუმუშავებელ შემოსავლებს და შედგება მყიდველების მიერ ბიწების შესაძენად გადახდილ ავანსებისგან.

2021 და 2020 წლებს ბოლოს კომპანიის მიერ მიღებული ავანსების ჩაშლა ასე გამოიყურება:

2021 წლის 31 დეკემბერი:

გამომუშავებელი შემოსავლები	რაოდენობა	თანხა
ფიზიკური პირები	24	179,016
იურიდიული პირები	-	-
სულ	136	179,016

2020 წლის 31 დეკემბერი:

გამომუშავებელი შემოსავლები	რაოდენობა	თანხა
ფიზიკური პირები	132	1,148,139
იურიდიული პირები	4	378,652
სულ	136	1,526,791

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რეალიზაცია. კომპანია შემოსავალს აღიარებს ბიწების რეალიზაციისას, კლიენტისთვის გადაფორმებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. წინასწარი გაყიდვების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება ვალდებულებად, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი მანამ სანამ არ მოხდება კლიენტისთვის ბიწის გადაფორმება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

შვილობილი კომპანიებიდან და პროექტებიდან მიღებული შემოსავლის გაშიფვრა ასე გამოიყურება:

შემოსავალი რეალიზაციიდან	31-12-21	31-12-20
შპს კიკვიძე 1	3,296,516	20,742,230
შპს კიკვიძე სერვისი	45,667	31,943
სულ	3,342,183	20,774,173

9. მომსახურების მომწოდებლების დანახარჯები

კომპანიის მომსახურების მომწოდებლების დანახარჯები წარმოადგენს მიწის შეძენისა და მასზე განხორციელებული მშენებლობის ხარჯებს. მშენებლობისა და მიწის დანახარჯების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის აღიარებისას, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

შვილობილი კომპანიებიდან და პროექტებიდან გაწეული ხარჯები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31-12-21	31-12-20
შპს კიკვიძე 1	3,512,936	10,417,721
შპს კიკვიძე სერვისი	23,725	24,048
სულ	3,536,661	10,441,769

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-21	31-12-20
გაყიდვები და მარკეტინგის ხარჯი	680	7,046
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	4,684	11,462
დაცვის მომსახურების ხარჯი	45,756	7,010
კომუნალური ხარჯები	50,662	16,547
საოფისე ხარჯი	20,413	14,671
ბუღალტრული მომსახურებისა და აუდიტის ხარჯი	23,858	16,845
ტრანსპორტის ხარჯი	125	236
IT მომსახურების ხარჯი	580	1,668
საბანკო მომსახურების ხარჯი	1,163	8,577
საოპერაციო გადასახადები	1,613	2,477
სხვა ხარჯი	1,387	802
სულ	150,921	87,341

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

2021 და 2020 წლების ხელფასებისა და სხვა სარგებელის გაშიფვრა კატეგორიების მიხედვით ასე გამოიყურება:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-21	31-12-20
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	41,409	51,801
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	62,331	75,907
სულ:	103,740	127,708

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2021 და 2020 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 41,409 ლარი და 51,801 ლარი წლების შესაბამისად.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.